პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი დაძლევის გზები

სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის
ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის
მათემატიკის უფროსი მასწავლებელი ნადეჟდა ჯაფარიძე

2018-2019 სასწავლო წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 3

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზნები და ამოცანები ---- 4

1.1 პრობლემა და საკვლევი საკითხი ---------- 4

1.2. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები ---------- 4

1.3. კვლევის მიზანი ---------- 5

1.4. კვლევის ამოცანები ---------- 5

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 6

თავი III. კვლევის დიზაინი ---------- 10

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი ---------- 10

4.2. კვლევის მეთოდები ---------- 10

4.3. კვლევის ვადები ---------- 11

თავი IV. კვლევის შედეგები ---------- 12

4.1. მონაცემთა ანალიზი ---------- 12
4.2. კვლევის მიგნებები ---------- 16
4.3. შესაძლო ინტერვენციები ---------- 17
4.4. განხორციელებული ცვლილებები ---------- 17

თავი V. რეკომენდაციები, ინტერვენციის შეფასება, დასკვნა ---------- 20

5.1. ინტერვენციის შედეგები, დასკვნა. ---------- 20

5.2. რეკომენდაციები ---------- 20

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 21

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის, ნ.ჯაფარიძის, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშს.
ნაშრომში განხილულია 9.7 კლასში საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათ გადასაჭრელად დასახული გზები. მიმოხილულია განხილულ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია, პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და მათი დაძლევის გზების შესაძლებლობაზე.

საშინაო დავალება სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი სრულყოფილად და ხარისხიანად შესრულება დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე, გარდა ამისა, მოსწავლეებს უყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას და განაპირობებს შეძენილი ცოდნის გამყარებას.

მეორე მხრივ, მასწავლებლისთვის საშინაო დავალება მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმებისა და პროგრესის მონიტორინგის ეფექტური საშუალებაა, თუ რამდენად უწყობს ხელს ახლად შეძენილი ცოდნის გამყარება-განტკიცებასა და საკლასო თუ შემაჯამებელი აქტივობების დროს სირთულეების დაძლევაში ეხმარება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ, როგორც მოსწავლემ, ასევე მასწავლებელმაც კარგად გააცნობიეროს საშინაო დავალების როლი მთლიან სწავლის პროცესში.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ, ალბათ, სწორედ ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საშინაო დავალების კომპონენტი სემესტრის განმავლობაში მოსწავლეთა შეფასების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, რომელშიც მოსწავლე ფასდება ქულით და ეს ქულა აისახება სემესტრულ თუ წლიურ ქულაზე.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

პრობლემა და საკვლევი საკითხი

9^7 კლასში ირიცხება 24 მოსწავლე. მათ შორის არც ერთია სსმ და შშმ მოსწავლე. კლასი საშუალოზე მაღალი მოსწრებისაა. კლასის მოსწავლეები , ისევე როგორც მთლიანად ჩვენი სკოლის მოსწავლეები, გამოირჩევიან კარგი გონებრივი შესაძლებლობებით, აქვთ მაღალი მოტივაცია, მოსწავლეთა დიდი ნაწილი გაკვეთილზე ავლენს მაქსიმალურ ჩართულობას, გაუგებარ საკითხებზე თავისუფლად სვამენ შეკითხვებს, ხალისით გამოდიან დაფასთან სამუშაოდ. თუმცა მოსწავლეთა არც თუ ისე მცირე ნაწილმა (განსაკუთრებით წლევანდელ სასწავლო წელს) თანდათანობით მოირგო გაკვეთილის პასიური მსმენელის როლი- არ იყენებდნენ თავიან შესაძლებლობებს, დავალებას ან არ ასრულებდნენ, ან უხარისხოდ იყო შესრულებული. თანდათანობით გაიზარდა შეკითხვების რაოდენობა საშინაო დავალებიდან და არც თუ იშვიათად ვერ გაკეთებულ ამოცანებში მხვდებოდა მარტივი ამოცანებიც. პრობლემა სახეზე იყო. გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა, გამომეკვლია, რა სირთულეები ქონდათ 9^7 კლასის მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებით და მომეძებნა მათი გადაჭრის გზები. პარალელურად გამევლო ამ საკითხზე კონსულტაციები მათემატიკის სხვა მასწავლებლებთანაც.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

- ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად შესაძლოა მივიჩნიოთ დიდი მოცულობის საშინაო დავალება. მოსწავლეებს დასვენებისთვის და
- გართობისთვის დრო აღარ რჩებათ, ამიტომ ისინი ცდილობენ სწრაფად შეასრულონ დავალება;
- სიზარმაცე;
- ფიქრობენ, რომ მაინც არ შეუმოწმებენ;
- არ ყოფნით ცოდნა

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზების დადგენა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიება.

სარგებელი/მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ ადეკვატური დამოკიდებულება საშინაო დავალების, როგორც სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, მიმართ და სათანადო ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შეასრულებენ მას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს, ზოგადად, მიზნობრივი ჯგუფის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

კვლევის მთავარი კითხვა: რა მიზეზების გამო არ ასრულებენ მე-9 კლასელები საშინაო დავალებას სრულყოფილად და როგორ დავძლიოთ ეს პრობლემა.

კვლევის ამოცანები

- პროცესის მონიტორინგი - რა სიხშირით და რა ხარისხით ასრულებენ მოსწავლეები საშინაო დავალებას;
- კონსულტაცია კოლეგებთან აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით;
- ფოკუსჯგუფის შექმნა და დისკუსიის საშუალებით პრობლემის გადაჭრის გზების ძიება;
- მოსწავლეთა და მშობელთა ანონიმური გამოკითხვა - ანკეტირება;
- მონაცემთა ანალიზი;
- შედეგების მიხედვით დასკვნების ჩამოყალიბება;
- შედეგებისა და დასკვნების შესახებ პრეზენტაცია.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც თ. ნეფარიძე აღნიშნავს თავის სტატიაში „საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე“, საშინაო დავალება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების სავალდებულო ნაწილია. მისი შესრულება მოსწავლეების ყოველდღიური პასუხისმგებლობაა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. თუმცა არის ქვეყნები, სადაც საშინაო დავალება იკრძალება ან იზღუდება ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკით. http://mastsavlebeli.ge/?p=1986
საშინაო დავალების არსი მდგომარეობს შემდეგში: მოსწავლეები განიმტკიცებენ გაკვეთილზე შეძენილ ცოდნას, ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას. საშინაო დავალება მოსწავლეებს უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას და არაპირდაპირ ასწავლის დროის მენეჯმენტს, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში. მეცნიერების აზრით, მოსწავლეებისთვის მიცემული საშინაო დავალება კლასების შესაბამისად და გონივრულად უნდა იყოს შერჩეული, რათა მოსწავლეს დარჩეს საკმარისი დრო თანატოლებთან თამაშისა და მშობლებთან ურთიერთობისთვის. ფსიქოლოგების აზრით, პატარა ბავშვებისთვის თამაში არ არის მხოლოდ გართობა, არამედ ეხმარება მათ, პრაქტიკაში შეიმეცნონ სამყარო. http://mastsavlebeli.ge/?p=1779
საშინაო დავალების თემაზე ჩატარებული კვლევების შედეგები განსხვავებულია. ერთნი თვლიან, რომ საშინაო დავალება მოსწავლეთა შორის უთანასწორობის გამძაფრებას უწყობს ხელს, რადგან დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელ ბავშვებს იმის შესაძლებობა არ აქვთ, რომ მშობლები დაიხმარონ დავალების შესრულებაში, არ აქვთ იზოლირებული და კომფორტული სამუშაო სივრცე სახლში, ტექნოლოგიური საშუალებები (კომპიუტერი/ინტერნეტი), რომელთა გამოყენებასაც, დღეს, ხშირად ითვალისწინებს საშინაო დავალების ფორმატი. ექსპერტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საშინაო დავალება სწორედ მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის, ინდივიდუალური მუშაობის სწავლის და მოსწავლის მიერ მუშაობის სასურველი ტემპის შერჩევის შესაძლებლობებს გვთავაზობს. http://mastsavlebeli.ge/?p=1986

ბუნაბრივად ჩნდება კითხვა, მართლაც ტყუილად ხომ არ ვტვირთავთ მოსწავლეს, საჭიროა, კი, საშინაო დავალების მიცემა? ეგებ არ სჭირდება მოსწავლეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნის სახლში განმტკიცება? და ბოლოს, ნუთუ არ ახდენს გავლენას სწავლის ეფექტიანობაზე საშიანაო დავალების შესრულება?

საინტერესოა, როგორი მიდგომაა საშინაო დავალებისადმი სხვადასხვა ქვეყანაში. ამერიკის საგანმანათლებლო ასოციაციის ექპერტებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლე

პირველ კლასში მეცადინეობას უნდა უთმობდეს 10 წუთს. II კლასში – 20 წთ; III-IV – 30 წთ; V-VI – 1 საათს; VII კლასში და ზემოთ- 2 საათი.

ინგლისში ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული საშინაო დავალებისთვის რეკომენდებული საათები. უელსში თვლიან, რომ საშინაო დავალების მოცულობა ეროვნული პოლიტიკით რეგულირებული კი

არ უნდა იყოს, არამედ უნდა შემუშავდეს თითოეული სკოლის მიერ.

საფრანგეთში მიმდინარე წლამდე დამკვიდრებული იყო კვირაში 4-დღიანი სასწავლო კვირა (8:30-დან 16:30-მდე). ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის მიხედვით, იგეგმება 5-დღიან სწავლაზე გადასვლა და საშინაო დავალების გაუქმება. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლება მოსწავლეების უთანასწორო მდგომარეობას ასახელებს. იმ ბავშვებისთვის, რომელთაც სახლში სამუშაო პირობები ან მშობლის დახმარება არ აქვთ, საშინაო დავალება არა ცოდნის გაღრმავების, არამედ აკადემიური რეგრესის წყარო ხდება. ამდენად, საფრანგეთში, ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, დავალებებს მოსწავლეები სკოლაშივე, აკადემიური საათების დასრულების შემდეგ, დამხმარე გაკვეთილებზე შეასრულებენ. http://mastsavlebeli.ge/?p=1986

ჩინელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საშინაო დავალებაზე დახარჯული ორი საათი დღეში აუცილებლად იწვევს ძილის დარღვევასა და სტრესს. მთელ მსოფლიოში მეოთხეკლასელების თითქმის 10%-მა დაადასტურა, რომ საშინაო დავალებას ყოველდღე რამდენიმე საათს ანდომებს. https://sputnik-georgia.com/tips/20170809/236891249/ramdenad-efeqturia-saSina-davaleba.html

ბევრ ქვეყანაში დაწყებით კლასებში საშინაო დავალებას არ აძლევენ. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ უმცროსკლასელი მოსწავლეები დავალებისგან ვერ იღებენ სარგებელს (კუპერი, 2001) ამ გავრცელებული მიდგომისაგან

განსხვავებით, გერმანიაში პირველივე დღიდან აქვთ ბავშვებს საშინაო დავალება შესასრულებელი. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს რამდენიმე სკოლამ გერმანიაში საშინაო დავალება აკრძალა. იაპონელ მოსწავლეებს კი დავალება ყოველდღიურად აქვთ შესასრულებელი, არდადეგების პერიოდის ჩათვლით. აშშ-ში საშინაო დავალება მხოლოდ 1950-იან წლებში გახდა სავალდებულო.

მისი შემოღება ცივ ომს უკავშირდება. სკოლის მოსწავლეების მიმართ მოლოდინები გაიზარდა და ქვეყანამ მიზნად დაისახა რუსული სკოლების აკადემიური

მიღწევებისთვის გადაეჭარბებინა. საშინაო დავალების სავალდებულო ხასიათი დღემდე შენარჩუნებულია. 2007 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ საშინაო დავალების მოცულობა იზრდება და ამჟამად მისი შესრულება, საშუალოდ, დღეში სამ საათზე მეტ დროს მოითხოვს. http://mastsavlebeli.ge/?p=1986

მკვლევრთა აზრით, საშინაო დავალების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე, რადგან ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი, ამიტომ საშინაო დავალების ეფექტურობაც მატულობს.

ცნობილია, რომ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა თუ უნარები ყოველთვის საჭიროებს გააზრებას. მოსწავლის მიერ საშინაო დავალების შესრულებით კი იგი ახდენს გაკვეთილზე მიღებული ცოდნის, თუ უნარ-ჩვევების განმტკიცებას, რადგან გაკვეთილზე, როგორ კარგადაც უნდა ჩატარდეს ის, როგორ კარგადაც უნდა გაიგოს ახალი მასალა თავად მოსწავლემ, მიღებულ ცოდნას ჭირდება განმტკიცება, რათა მოხდეს ამ ცოდნის გათავისება, ბოლომდე გააზრება და ხანგრძლივ მეხსიერებაში გადატანა. ეს კი ხდება, როცა შინ მისული მოსწავლე თავის თავთან მარტო დარჩენილი, ასრულებს საშინაო დავალებას.

თუ გავითვალისწინებთ,რომ გაკვეთილზე ათვისებული მასალა უახლოესი 10-12 საათის განმავლობაში ინტენსიურად ,,გვავიწყდება“, სასურველია, საშინაო დავალება იმ დღესვე შესულდეს – მასალის გაგებიდან პირველი საათის განმავლობაში გვახსოვს მხოლოდ 40%, 2-2,5 საათის შემდეგ – 28%. ასე რომ, საშინაო დავალება საშუალებას გვაძლევს, ცოდნა ოპერატიული მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადავიტანოთ. ამ დროს მოსწავლის ცოდნა და უნარი თანაბრდება http://mastsavlebeli.ge/?p=2409

რათქმა უნდა, როცა საშინაო დავალება შეესაბამება მოსწავლის შესაძლებლობებს, არ არის ძალიან ბევრი, მასწავლებელიც და ოჯახიც პასუხისმგებლობით ეკიდება მიცემული დავალების შესრულებასა, თუ შემოწმებას, არის ბავშვის დამხმარე, მიმართულების მიმცემი, ასეთ შემთხვევაში დავალება ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, მასში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, ორგანიზებულობას, დამოუკიდებელი ფიქრისა და მუშაობის ჩვევების განვიათარებას. ასეთი მოსწავლეები დადებითადაც არიან განწყობილი სასწავლო პროცესის მიმართ, მათთვის საშიანო დავალების შესრულება ,ტანჯვა“ ნამდვილად არ არის. პირიქით ეს ჩვევად ექცევათ და სიამოვნებით ასრულებენ. თუმცა შესაძლოა საშინაო დავალებამ მოსწავლეში განავითაროს უარყოფითი ჩვევებიც, როგორიცაა, ერთმანეთისგან გადაწერა, პლაგიატიზმი.

დამოკიდებულება საშინაო დავალების შესრულების მიმართ საქართველოშიც სხვადასხვაგვარია. მიიჩნევენ (როგორც მშობელი ასევე მოსწავლე), რომ: დავალება ზედმეტი ტვირთია; მიცემული დავალება დიდი მოცულობისაა; არ არის საჭირო სისტემატურად დავალების შესრულება; თუმცა ნაწილი თვლის, რომ საშინაო დავალების შესრულება საჭიროა. რათქმა უნდა პასუხები არაერთგვაროვანია.
ზოგჯერ მასწავლებელი ვერ ასწრებს ახსნილი მასალის ირგვლივ სავარჯიშოების, თუ ამოცანების შესრულებას და სახლში დავალებად საკმაოდ ბევრ საკითხს აძლევს, ან ზოგჯერ დავალებას სპონტანურად აძლევს, წინასწარ არ აქვს გააზრებული, არის თუ არა დავალება ზედმეტად რთული ან ზედმეტად ბევრი ან სულაც ზედმეტად მარტივი მოსწავლისთვის. ასეთ შემთხვევაში საშინაო დავალებას არავითარი სარგებელი არ ექნება, პირიქით ის მოსწავლის ტანჯვად იქცევა. სწორად შერჩეული დავალება კი ხელს შეუწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. ნაკლები იქნება იძულება, ხალისი კი – მეტი. მათ უნდა დარჩეთ თავისუფალი დრო თამაშისთვის, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობისთვის.
ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ სასურველია, მოსწავლეს თავიდანვე გავაცნობიერებინოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის საშინაო დავალების შესრულებას, მივაჩვიოთ ბავშვი რეჟიმს, წესების დაცვას. მოსწავლე უნდა ხედავდეს , რომ მასწავლებელი ამოწმებს, აფასებს მის ცოდნას თუ შრომას-აქებს, როცა იგი წარმატებულია, რჩევა -დარიგებას აძლევს დაშვებულ შეცდომებზე. რაც მთავარია ბავშვმა უნდა იგრძნოს , რომ ის გიყვართ, ზრუნავთ მასზე, რომ ყველაფერ ამას სიყვარულით აკეთებთ.

შექება განაპირობებს წარმატებას, აძლიერებეს მოსწავლის თვითშეფასების უნარს, უნერგავს რწმენას და ზრდის მის კომპეტენციას. ნუ დაუწუნებთ ნამუშევარს, უთხარით, რომ თქვენ გჯერათ მისი შესაძლებლობების და მომავალში ის აუცილებლად მიაღწევს წარმატებას.

შემოწმება ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში, მისი მეშვეობით ისინი აცნობიერებენ, რა იციან, რას მიაღწიეს და რა უნდა გააუმჯობესონ. სწავლა კეთებისა და უკუკავშირის პროცესში მიმდინარეობს. http://mastsavlebeli.ge/?p=1779

არსებული საკითხისადმი ასეთი მრავალფეროვანი შეხედულებები კიდევ უფრო აქტუალურს, საინტერესოს და აუცილებლს ხდის ამ საკითხის კვლევას.

თავი III. კვლევის დიზაინი

კვლევის სამიზნე ჯგუფი

- მე – 9^7 კლასის მოსწავლეები - 24 მოსწავლე;
- მათემატიკის მასწავლებლები - 6 მასწავლებელი;
- სკოლის ფსიქოლოგი;
- მოსწავლეთა მშობლები - 22 მშობელი.

კვლევის მეთოდები

მონაცემების შეგროვება და მათი ანალიზი კვლევის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაზაა, რომლის სწორად წარმართვაზეც დიდადაა დამოკიდებული, რამდენად სწორად გამოვკვეთავპრობლემის გამომწვევ მიზეზებს და დავსახავ მათი გადაჭრის გზებს.

საკვლევი საკითხის გამოკვეთის შემდეგ განვსაზღვრე მთავარი კითხვა.

ვინაიდან პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, გუნდურ მიდგომას, ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას. პრაქტიკულ კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთ გუნდად ერიანდებიან, ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ და სასურველ შედეგსაც აღწევენ. ამიტომაც კვლევაში ჩავრთე მოსწავლეთა მშობლებიც.

მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე: გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუსირებული დაკვირვება, მეორადი მონაცემების ანალიზი.

- დისკუსია - ამ მეთოდით იმედი მქონდა პასუხი მიმეღო კითხვაზე- მათი(მოსწავლეთა) აზრით რისთვის არის საჭირო და რაში ეხმარება მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულება.
- ინტერვიუ - ინტერვიუ ჩავატარე მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და ფსიგოლოგთან, რათა გამერკვია მათი დამოკიდებულება ჩემ მიერ წამოჭრილი პრობლემის და მათი გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

- ანკეტირება - ამ მეთოდით მსურდა გამერკვია, რამდენად სრულყოფილად ასრულებდნენ მოსწავლეები საშინაო დავალებას, მუშაობდნენ თუ არა დამოუკიდებლად და იღებდნენ თუ არა სხვის დახმარებას, თუნდაც ამხანაგისას. ანკეტირება ჩატარდა როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთანაც.

- ფოკუსირებული დაკვირვება - ეს მეთოდი გამოვიყენე ეფექტური უკუკავშირის კრიტერიუმებზე დაყრდნობით საგაკვეთლო პროცესის დასაკვირვებლად.

- მეორადი მონაცემების ანალიზი - ამ მეთოდის საშუალებით დავამუშავე მეორადი მონაცემები.

კვლევის ვადები

აქტივობა	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის შერჩევა	✓			
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	✓			
ინტერვიუ პედაგოგებთან და მოსწავლეებთან	✓			
კითხვარის შედგენა		✓		
მოსწავლეთა გამოკითხვა/ანკეტირება		✓		
კითხვარების შევსება მშობლების მიერ		✓		
მიღებული შედეგების ანალიზი			✓	
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა			✓	
ინტერვენციის განხორციელება			✓	
დაკვირვება				✓
ინტერვენციის შედეგების ანალიზი				✓
პრეზენტაცია მათემატიკის კათედრის წევრებთა, შედეგების გაცნობა				✓

თავი IV. კვლევის შედეგები

მონაცემთა ანალიზი

მოსწავლეებთან, ასევე სკოლის პედაგოგებთან, დისკუსიის და შესაბამისად ინტერვიუს შემდეგ ცხადი გახდა, რომ ისინიც ასევე აღიარებდნენ ამ პრობლემის არსებობას, თუმცა ასახელებდნენ პრობლემის გამომწვევ სხვა მიზეზებსაც. ამის შემდეგ კონსულტაცია გავიარე ფსიქოლოგთანაც და ბოლოს, ყველა ამ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად შევავსეთ კითხვარი როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვისაც. ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო 24-მა მოსწავლემ და 22-მა მშობელმა. ანკეტები შეივსო ანონიმურად.

ანკეტა მოსწავლეებისთვის

1. რისთვისაა საჭირო საშინაო დავალების შესრულება:

   ა) ცოდნის განსამტკიცებლად; ბ) მაღალი ნიშნის მისაღებად;

   გ) ვალდებული ვარ; დ) მშობელი მაიძულებს .


2. ასრულებ თუ არა საშინაო დავალებას სრულყოფილად?


   ა) ყოველთვის; ბ) უმეტესად ; გ) ზოგჯერ ; დ) არა, არ ვთვლი საჭიროდ .


3. რა გიშლის ხელს დავალების შესრულებაში(როცა არ ასრულებ)
   ა) სიზარმაცე ; ბ) დიდხანს ვუნდები, ბევრია ; გ) მაინც არ შემიმოწმებენ ; დ) საკითხი გავიგე, ამიტომ აღარ ვთვლი საჭიროდ დავალების შესრულებას .

4. ასრულებ თუ არა საშინაო დავალებას დამოუკიდებლად?
   ა) დიახ ; ბ) უმეტესად ; გ) მეხმარება ამხანაგი ; დ)მეხმარებიან სახლში .

5. რა სიხშირით უნდა შესრულდეს დავალება?
   ა) სისტემატურად ; ბ) ზოგჯერ შეიძლება არ შეასრულო; გ) საჭიროებისამებრ საკმარისია; დ) დავალების შესრულება არ არის საჭირო.


რისთვისაა საჭირო საშინაო დავალების შესრულება
Sales
65%
17%
10%
8%
ცოდნის განსამტკიცებლად
მაღალი ნიშნის მისაღებად
ვალდებული ვარ
მშობელი მაძალებს
ასრულებ თუ არა საშინაო დავალებას
Sales
29%
29%
17%
25%
ყოველთვის
უმეტესად
ზოგჯერ
არა,არ ვთვლი საჭიროდ


რა გიშლის ხელს დავალების შესრულებაში
Sales
12%
29%
24%
35%
სიზარმაცე
ბევრია, ვერ ვასწრებ
მაინც არ შემომოწმებენ
სხვა მიზეზები
რა სიხშირით უნდა შესრულდეს დავალება?
Sales
40%
35%
15%
10%
სისტემატურად
ზოგჯერ შეიძლება არ შესრულო
საჭიროებისამებრ, საკმარისია
დავალების შესრულება არ არის საჭირო


ასრულებ თუ არა საშინაო დავალებას დამოუკიდებლად
Sales
22%
47%
14%
17%
დიახ, ყოველთვის
უმეტესად, გაუგებარ საკითხებს კი გაკვეთილზე ვარჩევთ
მეხმარება ამხანაგი
სახლში მეხმარებიან

ანკეტა მშობლებისთვის

1. მიგაჩნიათ, რომ საშინაო დავალების შესრულება ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას?
   ა)დიახ ; ბ)ნაწილობრივ ;
   გ) არა, ბავშვები ისედაც ძალიან დატვირთულები არიან .


2. როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა საშინაო დავალების შესრულება?
   ა) დიახ; ბ) დიახ, ოღონდ მცირე მოცულობის ; გ) არა.


3. ეხმარებით თუ არა შვილს თქვენ (ან სხვა) საშინაო დავალების შესრულებაში?
   ა) არა; ბ)ზოგჯერ ; გ)ხშირად ; დ) დიახ .


4. თქვენი აზრით, შესასრულებელი საშინაო დავალება დიდია თუ არა მოცულობით?
   ა) დიახ ; ბ) ზოგჯერ კი ; გ) არა.


5. რა დროს ანდომებს თქვენი შვილი საშინაო დავალების შესრულებას?
   ა) 0.5სთ; ბ) 1სთ ; გ) 1.5სთ ; დ)არ ვიცი .


6. ამოწმებთ, შეასრულა თუ არა თქვენმა შვილმა საშინაო დავალება?
   ა) არა(დარწმუნებული ვარ ასრულებს); ბ) არა(არ მცალია);
   გ) დიახ,ზოგჯერ .



დავალების შესრულება ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას
Sales
12%
30%
58%
დიახ
ნაწილობრივ
არა


საჭიროა თუ არა საშინაო დავალების შესრულება
Sales
10%
45%
45%
დიახ
დიახ, ოღონდ მცირე მოცულობის
არა


ეხმარებით თუ არა შვილს თქვენ (ან სხვა) საშინაო დავალების შესრულებაში
Sales
22%
36%
7%
35%
არა
ზოგჯერ
ხშირად
დიახ


რა დროს აწდომებს თქვენი შვილი საშინაო დავალების შესრულებას?
Sales
40%
32%
13%
15%
0.5სთ
1სთ
1.5სთ
არ ვიცი


შესასრულებელი საშინაო დავალება დიდია თუ არა მოცულობით
Sales
25%
35%
40%
დიახ
ზოგჯერ,კი
არა


ამოწმებთ, შეასრულა თუ არა თქვენმა შვილმა საშინაო დავალება?
Sales
20%
45%
35%
არა(დარწმუნებული ვარ ასრულებს);
არა(არ მცალია);
დიახ, ზოგჯერ

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: მოსწავლეთა 42% არ ასრულებს ან იშვიათად ასრულებს დავალებას, აქედან 25% არ მიაჩნია საჭიროდ დავალების შესრულება, რადგან თვლის, რომ მან ეს საკითხი უკვე გაიგო(ე.ი. ჰგონია, რომ იცის) და არ თვლის საჭიროდ დახარჯოს დრო დავალების შესრულებაზე. 24%-ს მიაჩნია, რა საჭიროა შევასრულო დავალება, თუ მაინც არ შემიმოწმებენ, ხოლო დავალება ბევრია მიიჩნია 29%-მა. ზეპირი გამკითხვისას გამოიკვეთა დავალების შეუსრულებლობის კიდევ სხვა მიზეზები - ვერ ვასრულებ , რადგან ჩემთვის ძალიან რთული იყო; დავალება ბევრია და დრო არ მყოფნის.

დავალების შესრულებას ანდომებს 0.5სთ აჩვენა მშობელთა 32%-მა(როცა მათემატიკის გაკვეთილს დათმობილი აქვს საგაკვეთილო ცხრილის 2სთ), ხოლო დავალება ბევრია მიაჩნია მშობელთა 45%. ორივე ანკეტიდან გამოიკვეთა, რომ როგორც მოსწავლეთა ისე მშობელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ საშინაო დავალების შესრულება ხელს უწყობს ცოდნის განმტკიცებას, რაც ძალიან სასიამოვნოა.

კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზის შედეგადად გამოიკვეთა რამდენიმე მიგნება:

- საშინაო დავალება უნდა იყოს მიღწევადი და დოზირებული (როცა მოსწავლე ძლევს და გონივრულ დროში ასრულებს საშინაო დავალებას, თან თუ ამას ერთვის შექება, წახალისება მასწავლებლისგან, მაშინ იგი ხალისით მუშაობს და სურვილი უჩნდება სისტემატურად შეასრულოს დავალება) ;
- საშინაო დავალება უნდა იყოს მრავალფეროვანი;
- საშინაო დავალება უნდა შემოწმდეს სისტემატურად, შედეგები კი აისახოს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებით;
- მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს (მშობლებსაც) ჯერ კიდევ ვერ აქვთ გაცნობიერებული რატომ არის საჭირო დავალების შესრულება.

შესაძლო ინტერვენციები

- საჭიროა, საშინაო დავალების შემოწმება სისტემატურად, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივადაც;
- საშინაო დავალების მიცემისას მოსწავლეებს უნდა მიეცეს ნათელი და დეტალური მითითებები;
- საჭიროა დავალების დოზირება.

განხორციელებული ცვლილებები


ჩატარებული კვლევისა და მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად დავსახე სამოქმედო გეგმა:

- ვესაუბრე, როგორც მოსწავლეებს, ასევე მშობლებს (ცალ-ცალკე) თუ რა დადებით გავლენას ახდენს საშინაო დავალების შესრულება მოსწავლის სწავლის ხარისხზე, რომ დავალების სისტემატურად შესრულებით მოსწავლეებში ყალიბდება დამოუკიდებელი ფიქრისა და მუშაობის უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც ასე მნიშვნელოვანია მათი მომავალი წარმატებისთვის. შევთანხმდით, რომ დავალებიდან, მოსწავლეთათვის გაუგებარი ნებისმიერი საკითხი გაგვერჩია დაფაზე;
- ვცდილობდი საშინაო დავალება ყოფილიყო დოზირებული და მრავალფეროვანი, მორგებული მოსწავლეთა ინტერესებზე და შესაძლებლობებზე;
- დავალების მიცემისას მოსწავლეებს ვაძლევდი სათანადო მითითებებს;
- მიცემული დავალების 70% იყო ისეთი, რომელთა მსგავსი გაირჩა გაკვეთილზე, დანარჩენი კი გათვლილი შედარებით მაღალ სააზროვნო უნარებზე;
- შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ყოველ გაკვეთილზე ვამოწმებდი 5-6 საშინაო დავალებას, თან ვაძლევდი სათანადო უკუკავშირს (წერილობით).
- გაკვეთილზე, უკვე, მოსწავლეები თავისუფლად სვამდნენ შეკითხვებს გაუგებარი საკითხების შესახებ, რაც აუცილებლად ირჩეოდა დაფაზე;
- კვირაში ერთხელ ვატარებდი დამოუკიდებელ წერას საშინაო დავალებად მიცემულ ამოცანებზე;
- დამოუკიდებელ წერებში მიღებული საშუალო თვიური ქულა შემქონდა ჟურნალში საშინაო დავალების კომპონენტად;
- განმეორებითი კვლევა;
- რეკომენდაციები და დასკვნები

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ჩავატარე განმეორებითი კვლევა. კვლევის მიზანი იყო დამედგინა, ინტერვენციების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგები.

შედეგებმა აჩვენა ,რომ დავალების შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებელი გაიზარდა, გაიზარდა აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნის დონე, რაც მცირედად, მაგრამ მაინც შესამჩნევი გახდა დამოუკიდებელი წერების შედეგების მიხედვითაც.

კვლევის შემდეგ



წარმოგიდგენთ 9[7] კლასის მოსწავლეების ქულათა განაწილებას ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ.

	კვლევამდე				კვლევის შემდეგ		
მოსწავლის ნომერი	საშინაო	საკლასო	შემაჯამებელი		საშინაო	საკლასო	შემაჯამებელი
1.	10	10	10		10	10	10
2.	7	8	8		9	9	9
3.	6	5	7		6	6	7
4.	7	6	9		8	9	10
5.	8	9	10		10	10	10
6.	10	10	10		10	10	10
7.	8	6	6		8	8	9
8.	9	8	7		8	8	9
9.	9	8	9		10	10	9
10.	7	7	8		9	10	9
11.	9	8	9		9	10	10
12.	8	7	9		9	9	10
13.	8	8	9		9	9	8
14.	9	7	9		10	8	9
15.	8	7	8		9	8	8
16.	10	10	9		10	10	10
17.	9	8	8		9	9	8
18.	8	7	7		8	8	10
19.	7	7	6		8	7	8
20.	5	5	6		6	6	9
21.	6	6	8		7	8	9
22.	7	7	7		8	8	9
23.	8	7	8		8	8	6
24.	7	7	8		8	9	8

თავი V. რეკომენდაციები , ინტერვენციის შეფასება, დასკვნა

ინტერვენციის შედეგები, დასკვნა .

განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საშინაო დავალების შესრულების ხარისხი გაიზრდა, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივადაც - გაუმჯობესდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, ე.ი. პრობლემის გადაჭრის გზა სწორად იყო შერჩეული. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ,რომ საშინაო დავალების სისტემატური შესრულება ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური მოსწრების ზრდას, ამიტომ თავს ნებას მივცემ კოლეგებს გავუზიარო კვლევის შედეგები, მივცე შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები

- მოსწავლისათვის მიცემული დავალება იყოს დოზირებული და მიღწევადი, რაც გამოიწვევს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, თან საშინაო დავალება მათთვის აღარ იქნება ,,ტანჯვა“;
- საშინაო დავალების მიცემისას მივცეთ მოსწავლეებს სათანადო მითითებები;
- სისტემატურად შემოწმდეს საშინაო დავალება;
- მოხდეს სწორი და დროული უკუკავშირი (აღინიშნოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მიეცეს რეკომენდაციები), რაც განაპირობებს მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების მიმართ პასუხისმგებლობას;
- ხშირად ჩავატაროთ წერილობითი გამოკითხვა, დამოუკიდებელი წერის სახით, რაშიც მიღებული საშუალო თვიური შედეგით შევაფასოთ მოსწავლე საშინაო დავალების კომპონენტში(ამით პრაქტიკულად გამოირიცხება საშინაო დავალების გადაწერის მცდელობა).
- წავახალისოთ მოსწავლის შრომა, შევუქოთ ძლიერი მხარე და მხოლოდ შემდეგ მივუთითოთ ნაკლოვანებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
2. კვლევები საშინაო დავალების ეფექტურობის შესახებ კუპერი, 2001ს
3. ,,სწავლისა და სწავლების ახალი მიდგომები“ თბილისი 2004
4. http://mastsavlebeli.ge/?p=1986
5. http://mastsavlebeli.ge/?p=1779
6. http://mastsavlebeli.ge/?p=2409
7. https://sputnik-georgia.com/tips/20170809/236891249/ramdenad-efeqturia-saSina-davaleba.html
8. მასწავლებლის წიგნი თამთა კობახიძე გიორგი ნოზაძე მაია ინასარიძე მანანა ბოჭორიშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი2016

კვლევის რაფლექსია

2018-2019 სასწავლო წელს განვახორციელე ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ,,საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები“

პრაქტიკული კვლევის განხორციელების შემდეგ, მათემატიკის კათედრის სამუშაო შეხვედრაზე, ჩავატარე პრეზენტაცია და შედეგები გავაცანი კოლეგებს. პრეზენტაცია პროექტორის გამოყენებით ჩატარდა, რამაც უფრო თვალსაჩინო და ადვილად აღსაქმელი გახადა კვლევის მსვლელობა. კოლეგებს გავაცანი ის მიზეზები, რამაც გადამაწყვეტინა მე-9[7] კლასში კვლევის ჩატარება აღნიშნულ თემაზე. დამსწრეთ თანამიმდევრულად გავაცანი კვლევის ყველა ეტაპი, ვისაუბრე განხორციელებულ ინტერვენციაზე და მიღებული შედეგებზე. რათქმაუნდა განხორციელებული ინტერვენციით მდგომარეობა არცთუ ისე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ამ მოკლე დროში მიღებული შედეგებით წინსვლა ნამდვილად იგრძნობოდა, ამიტომ თავისუფლადაა შესაძლებელი დავასკვნა, რომ თუ მასწავლებლის მიდგომა საკითხისადმი სისტემატურ სახეს მიიღებს, მოსწავლეებს ჩვევად გადაექცევათ საშინაო დავალების შესრულება და მათი ცოდნის დონეც საგრძნობლად გაუმჯობესდება. აქედან, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა ვფიქრობ მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემიძლია კოლეგებს გავუწიო შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მოსწავლისათვის მიცემული დავალება იყოს დოზირებული და მიღწევადი, რაც გამოიწვევს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, თან საშინაო დავალება მათთვის აღარ იქნება ,,ტანჯვა“;
- საშინაო დავალების მიცემისას მივცეთ მოსწავლეებს სათანადო მითითებები;
- სისტემატურად შემოწმდეს საშინაო დავალება;
- მოხდეს სწორი და დროული უკუკავშირი (აღინიშნოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მიეცეს რეკომენდაციები), რაც განაპირობებს მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების მიმართ პასუხისმგებლობას;
- ხშირად ჩავატაროთ წერილობითი გამოკითხვა, დამოუკიდებელი წერის სახით, რაშიც მიღებული საშუალო თვიური შედეგით შევაფასოთ მოსწავლე

საშინაო დავალების კომპონენტში(ამით პრაქტიკულად გამოირიცხება საშინაო დავალების გადაწერის მცდელობა).

- წავახალისოთ მოსწავლის შრომა, შევუქოთ ძლიერი მხარე და მხოლოდ შემდეგ მივუთითოთ ნაკლოვანებებზე.

ვფიქრობ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს საშინაო დავალების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი (ჩემის აზრით) - თეორიული მასალის ზერელე ცოდნა, რაც ალბათ გამოწვეულია ან სიზარმაცით, ან გაკვეთილზე უყურადღებობით, ან იმით, რომ მოსწავლემ გაკვეთილზე კარგად ვერ გაიგო მასალა და ეს მასწავლებელს ყურადღების მიღმა დარჩა. ვფიქრობ სასურველი იქნება კვლევის ამ მიმართულებით ჩატარებაც .

ჩემი კვლევის ნაკლად მიმაჩნია ის, რომ კვლევა ჩატარდა მხოლოდ ერთ კლასში, არადა პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე ვფიქრობ მინიმუმ საბაზო საფეხურზე მაინც უნდა განხორციელებულიყო, რათა მოგვცემოდა პრობლემაზე უფრო მასშტაბურად დაკვირვებისა და ღრმა ანალიზის საშუალება.

სასიამოვნოა, რომ ჩატარებულ კვლევასთან დაკავშირებით კოლეგებისაგან დადებითი უკუკავშირი მივიღე. მოვიყვან მათ მიერ გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებას: ,,საკითხი მეტად აქტუალურია და ამ კუთხით სხვადასხვა მეთოდების დანერგვა აუცილებლად იქნება შედეგის მიმტანი“; ,,საინტერესო კვლევაა, კარგი იქნებოდა კვლევა მთლიანად საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარებულიყო“ ; ,, კვლევის შედეგები დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მასწავლებელს. აღნიშნული კვლევის რეკომენდაციებს აუცილებლად გავითვალისწინებ ჩემს პრაქტიკაში“.